საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 29 დეკემბერი , 2011 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 106

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტთან არსებული კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული მომზადების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების მე-9 და მე-4 მუხლების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტთან არსებული კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული მომზადების ცენტრის დებულება, თანახმად დანართისა.

2. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2011 წლის 29 დეკემბრის № 106 დადგენილების

დანართი

კვალიფიკაციის ამაღლებისა და
პროფესიული მომზადების ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული მომზადების ცენტრი (შემდეგში ცენტრი) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც შექმნილია უნივერსიტეტის ფარგლებში კულტურისა და ხელოვნების სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული მომზადების ხელშეწყობის მიზნით.
2. ცენტრის დებულება "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე არეგულირებს ცენტრის საქმიანობას. კერძოდ, მისი შექმნის, მასწავლებელთა პერსონალით და მსმენელებით დაკომპლექტების, მსმენელების სწავლის და შეფასების, უნივერსიტეტის დანარჩენ სტრუქტურულ ერთეულებთან ურთიერთობის წესს და სხვა საორგანიზაციო საკითხებს.
3. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე და ასრულებს კანონის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.
4. ცენტრის დებულებას უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო;
5. ცენტრს გააჩნია უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული ბეჭედი, შტამპი და სატიტულო ფურცელი.

მუხლი 2. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ცენტრს ხელმძღვანელობს კოორდინატორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
3. ცენტრის კოორდინატორი:
ა) წარმართავს და ხელმძღვანელობს ცენტრის საქმიანობას;
ბ) გეგმავს ცენტრის ფუნქციების განხორციელებისათვის ძირითად სამუშაოებს;
გ) პერიოდულად წარადგენს აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე ანგარიშს;
დ) პასუხისმგებელია ცენტრის სამსახურის საქმიანობის სწორად წარმართვაზე;
ე) ორგანიზებას უკეთებს მსმენელებით ჯგუფების დაკომპლექტებას;
ვ) უზრუნველყოფს ცენტრის მასწავლებლებს საჭირო მასალებით და მეთოდური ლიტერატურით;
ზ) იწვევს შესაბამისი დარგის სპეციალისტს კურსის ჩასატარებლად;

თ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს;
ი) უზრუნველყოფს ცენტრის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას.

მუხლი 3. ცენტრის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. ცენტრი სთავაზობს ნებისმიერ მსურველს კულტურისა და ხელოვნების მიმართულების მოკლევადიან კურსებს. კურსების დასრულების შემდეგ ცენტრი გასცემს შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს.
2. სასწავლო კურსები იქმნება დაკვეთით ან ინდივიდუალური მსმენელების მიერ.
3. სასწავლო კურსების მომზადებას და განხორციელებას უზრუნველყოფს ამ კურსებისათვის მოწვეული პროფესორ-მასწავლებელი.
4. მოწვეული სპეციალისტის ანაზღაურება:
ა) მოწვეული სპეციალისტის ანაზღაურება ხდება ცენტრის კოორდინატორის წარდგინების საფუძველზე, ჩატარებული ლექციების გათვალისწინებით;
ბ) კურსის ფასი დგინდება პროგრამის მოცულობის ან დამკვეთ ორგანიზაციასთან შეთანხმების საფუძველზე.
გ) სპეციალისტის სახელფასო ანაზღაურება დგინდება კურსის ფასისა და სპეციალისტთან მოლაპარაკების მიხედვით.
5. კურსის მსმენელები ვალდებულნი არიან შეასრულონ მიცემული დავალებები და კურსის ბოლოს ჩააბარონ სასერტიფიკაციო გამოცდა/გამოცდები.
6. დამკვეთს კურსის ღირებულების თანხა შეაქვს უნივერსიტეტის ანგარიშზე.
7. ინდივიდუალურ პირს, დამკვეთისაგან დამოუკიდებლად შეუძლია შეუერთდეს შემოთავაზებულ კურსს. ინდივიდუალურ პირს სასწავლო კურსის ღირებულება შეაქვს უნივერსიტეტის ანგარიშზე.

მუხლი 4. მსმენელთა ჯგუფების დაკომპლექტების წესი და დატვირთვის მოცულობა

1. მსმენელთა ჯგუფები იქმნება დაკვეთით ან ინდივიდუალური პირის განცხადების საფუძველზე.
2. დაკვეთით შექმნილ ჯგუფში მსნენელთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს პროგრამის გათვალისწინებითა და დამკვეთთან შეთანხმებით.
3. ინდივიდუალურ პირთა ჯგუფი შეიქმნება იმ შემთხვევაში, როცა ცენტრში შემოვა მინიმუმ 10 მსმენელის განაცხადი კურსის გასავლელად.
4. კურსის პროგრამა:
ა) კურსის პროგრამა იქმნება ცენტრში დაკვეთის მიღებიდან, დამკვეთთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში. ამ პუნქტისაგან განსხვავებულ პროგრამის მოზადების ვადებს ადგენს ცენტრი;
ბ) პროგრამაში უნდა აისახოს კურსის მიზანი და ამოცანები, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და ფორმები, კურსის ხანგრძლივობა, შესასწავლი საგნების ნუსხა და დატვირთვის მოცულობა, განხორციელების ვადები, ადამიანური და მატერიალური რესურსები, კურსის საერთო ღირებულება;
გ) საგნების რაოდენობასა და კვირეულ დატვირთვას განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელი;
დ) პროგრამის მოცულობას და განხორციელების ვადებს ადგენს დამკვეთი ან პროგრამის ხელმძღვანელი ცენტრთან შეთანხმებით;
ე) კურსის პროგრამას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით და ცენტრის კოორდინატორის წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური საბჭო;

მუხლი 5. ცენტრის დაფინანსება და მომსახურების ტარიფები

1. ცენტრის დაფინანსება ხორციელდება სასწავლო კურსების განხორციელებისათვის იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ შემოტანილი სახსრებით და კანონმდებლობით ნებადართული სხვა ფასიანი მომსახურებითა და შემოსავლებით.
2. ცენტრის მომსახურების ტარიფები განისაზღვრება დამკვეთთან შეთანხმებით ან კურსის პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, რომელსაც ცენტრის კოორდინატორის წარდგენით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
3. მასწავლებელთა და სპეციალისტთა საათობრივი ანაზღაურების წესს ადგენს ცენტრი და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
4. ცენტრის საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების განაწილების მოცულობას ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 6. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. დებულებაში შესატან ცვლილებებს და დამატებებს ცენტრის კოორდინატორის წარდგინებითა და აკადემიური საბჭოს თანხმობით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

სწორია: